



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

13 აგვისტო 2024



N 21/8504

შპს „აი ჯი ენერჯის“

მის: ქ. თბილისი, მცხეთის ქ. N8

ელ. ფოსტა: otar.gavasheli@gmail.com

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი 2024 წლის 2 აგვისტოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი განცხადება N7843, რომელიც ეხება მესტიის მუნიციპალიტეტში, შპს „აი ჯი ენერჯის“ მდინარე მულხურაზე 40.2 მგვტ სიმძლავრის „მულხურა ჰესის“ მშენებლობას და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას და კორექტირებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილია ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვება, მასთან აღნიშნულია, რომ ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი იქნება მშენებლობის დაწყებამდე. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს კანონმდებლობით გათვალისწინებული - ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების (ზდჩ) პროექტი;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის/სალექარის პარამეტრებისა და გაწმენდის ეფექტურობის შესახებ, ასევე გამწმენდი ნაგებობაში წარმოქმნილი ლამის რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის ნაწილი წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს, ანგარიშში აღნიშნულია, რომ განსაკუთრებული დანიშნულების სპეციალური ტყითსარგებლობის უფლების მოპოვებისათვის საჭირო დოკუმენტაციის და სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელების თაობაზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსთან შეთანხმება მოხდება ჰესის მშენებლობის დაწყებამდე. როგორც სკოპინგის დასკვნით გეცნობათ, საქმიანობის განმახორციელებელმა (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად) გზშ-ის ანგარიშს უნდა დაურთოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები.
- მონაცემების გადამოწმებით დგინდება, რომ სანაყაროების განთავსება დაგეგმილია მდ. მულხურას წყალდაცვით ზოლში, შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია „წყალდაცვითი

ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ;

- მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურის შემადგენელი ობიექტების ნაწილი მოიცავს კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს, შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების ინფორმირებისა და შეთანხმების შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაცია;
- გზშ-ის ანგარიშზე თანდართული დაგეგმილი საქმიანობის შემადგენელი ობიექტების ნაწილის (გზები, ხიდები, სადაწნეო გვირაბი, ძალური კვანძი და ა.შ.) Shp ფაილები, წარმოდგენილია ხაზოვან ფენაში. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ობიექტები წარმოადგენს ფართობულ ობიექტებს, პროექტით გათვალისწინებული ფართობების დადგენის მიზნით, Shp ფაილები წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე პოლიგონურ ფენაში;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ჰესის შენობასთან, სათავე ნაგებობასთან და ყველა სხვა სენსიტიურ უბანთან (საჭიროების შემთხვევაში) მოეწყობა ნაპირდამცავი ნაგებობები, შესაბამისად გზშ-ის ანგარიშში მითითებული უნდა იქნეს ნაპირსამაგრი ნაგებობების ტიპები, ტექნიკური პარამეტრები და ადგილმდებარეობები (GPS კოორდინატები და shp ფაილები), ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- 14.3 დანართი 3. მულხურა ჰესის განთავსების ტერიტორიის გეოლოგიური განივი კვეთები და ჭრილები - არ იკითხება. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს არასახელმწიფო ენაზე შესრულებულ მასალებს (ცხრილი, ნახაზების ლეგენდები და ა.შ.).

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით კორექტირებული გზშ-ის ანგარიშისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ.
ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/8504-21-2-202408130926>

